A
9961

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ ლომთაძე

ქალაქური მეტყველების თავისებურებები
(ქ. ქუთაისის მაგალითზე)

10.02.01. ქართული ენა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი 2001

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ ლომთაძე

ქალაქური მეტყველების თავისებურებები
(ქ. ქუთაისის მაგალითზე)

10.02.01. ქართული ენა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი 2001

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ახალი ქართული ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. **გ. გოგოლაშვილი**

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი
პროფ. **ი. ქობალავა**
ფილოლოგიის მეცნ. კანდიტატი
გ. ცოცანიძე

დისერტაციის დაცვა შედგება 2001 წლის ~~12 დეკემბერს~~ 12 30 სთ
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
10.02. №7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივ. ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკაში (უნივერსიტეტის ქუჩა 2)

ავტორეფერატი დაიგზავნა 2001 წლის ~~ნოემბერს~~

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი: **პროფ. გ. წიბახაშვილი**

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

<u>თემის აქტუალობას</u> განაპირობებს ქალაქის ენის შესწავლის მნიშვნელობა ქალაქური კოინეს წარმოქმნისა და ენის სტანდარტიზაციის თვალსაზრისით. ქალაქის ენის შესწავლის აუცილებლობა პირველ რიგში სოციოლინგვისტიკის განვითარებამ დააყენა, რადგან სოციოლინგვისტიკის ზოგადი პრობლემები (ენის სოციალური და პროფესიული დიფერენციაცია, ბილინგვიზმი, ეროვნული და სალიტერატურო ენები, ურბანიზაცია და ენა და ა.შ.) ძირითადად ქალაქის ენის პრობლემურ საკითხებს ემთხვევა. ამიტომაც სოციალური დიალექტოლოგია, როგორც მეცნიერული კვლევის პარადიგმა, განსაკუთრებით ვითარდება ქალაქის ვარიაციული სივრცის შესწავლის ფონზე.

<u>ნაშრომის მიზანია</u> კილოური ნაირსახეობების ჩვენება სოციალური ფენების მიხედვით ქუთაისური მეტყველების მაგალითზე.

<u>კვლევის ობიექტს</u> წარმოადგენდა ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალა, ქუთაისის დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მიერ წლების განმავლობაში დაგროვილი ტექსტები და სხვა უცხოურ თუ ქართველურ ენათა დიალექტებზე დღემდე გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი სამეცნიერო გამოკვლევები.

<u>ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა</u>: ნაშრომში წარმოდგენილი მასალის დიდი ნაწილი პირველად შემოდის მეცნიერულ მიმოქცევაში. საერთოდ, ნაშრომი წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ცდას ქალაქური მეტყველების შესწავლისა საქართველოში. ამდენად, კვლევის შედეგები გამოადგებათ ამ საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

<u>ნაშრომის სიახლე</u>: ნაშრომში პირველადაა შესწავლილი ქალაქური მეტყველება ქ. ქუთაისის მაგალითზე, ისეთი სოციოლინგვისტური მონაცემების გათვალისწინებით, როგორიცაა ასაკი, სქესი, სოციალური მდგომარეობა. მხედველობაში მივიღეთ სტილისტური სახეცვლილებებიც, მაგალითად, ფორმალური და